



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 72

2011 წლის 13 ივნისი

ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტების გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის #428 ბრძანების მოცემულ ვადებში შეუფერხებელი შესრულებისათვის განსახორციელებელია რეზერვისტების გადაყვანა ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის(რეზერვისტების გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

